

## ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობების მომავალი: კონფლიქტი თუ თანაგზრომლობა?!

როგორ განვითარდება ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობები 21-ე საუკუნეში? შესაძლებელია თუ არა ამ სახელმწიფოებმა ურთიერთობები კოოპერატიულ, არანულოვანჯამიანი თამაშის პრინციპებსა და „უსაფრთხოების საზოგადოების“ ნორმებზე დააფუძნონ, თუ ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობები საერთაშორისო სისტემას 20-ე საუკუნის „ცივი ომის“ რეალიების დაბრუნებას პირდება?

წინამდებარე სტატია გაანალიზებს ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობების განვითარების დინამიკას და განიხილავს არგუმენტებს, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალური კვლევითი პროგრამის წარმომადგენლები გვთავაზობენ ამ ურთიერთობების სამომავლო პერსპექტივების პროგნოზირებისთვის. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ანალიზის პროცესში ზემოაღნიშნული კვლევითი პროგრამის წარმომადგენლები განსხვავებულ ცვლადებზე აკეთებენ აქცენტს, ის რაც მათ აერთიანებთ, არის დაშვება, რომ ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობები მომავალში თანამშრომლობითი მიმართულებით განვითარდება. შესაბამისად, ამგვარი არგუმენტების მომხრეებს შესაძლოა ოპტიმისტებიც კი ვუწოდოთ.

ასევე, სტატიაში შემოთავაზებული იქნება რეალისტური თეორიის არგუმენტები, კონკრეტულად კი ძალთა განაწილების ცვლილების თეორიის (**Power Transition Theory**). მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნული თეორია შესაძლოა უფრო ზუსტად ასახავდეს ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების სამომავლო დინამიკას, ის, ასევე ვერ ითვალისწინებს იმ გარემოებებს, რომელიც გლობალურ დონეზე ძალთა განაწილების ცვლილებამდე შეიძლება მოხდეს და ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები კონფლიქტის მიმართულებით წაიყვანოს.

სტატიის მიზანია, ერთი მხრივ, მოახდინოს ზემოაღნიშნული თეორიების თეორიული და ემპირიული კრიტიკა, ხოლო მეორე მხრივ, განავითაროს თეორიული მოდელი, რომელიც უფრო ადეკვატურად ასხნის ჩინეთის და ამერიკის ურთიერთობების განვითარების პერსპექტივებს.

## ოპტიმიზტი ლიბერალიზმი

ოპტიმიზტები ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობების ანალიზისას აქცენტს აკეთებენ ისეთი ფაქტორების როლზე, როგორცაა აშშ-ს და ჩინეთს შორის მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, ჩინეთის მზარდი მონაწილეობა საერთაშორისო ინსტიტუტებში და ჩინეთში დემოკრატიის განვითარების პერსპექტივები. ამ ფაქტორებში პირველი ორი საერთაშორისო სისტემის, მესამე კი სახელმწიფოს დონის არგუმენტია. სტატიის ეს ნაწილი სწორედ ამ ფაქტორების თეორიული და ემპირიული შინაარსის განხილვას და კრიტიკას დაეთმობა.

### ოპტიმიზტების I არგუმენტი - საერთაშორისო ვაჭრობა ხელს უწყობს მშვიდობას

დაშვება, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობას უწყობს ხელს, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებში გამოთქვა ჰენრი ტომას ბუკლმა [ბეთსი/Betts, 2000/2001]. მოგვიანებით ამ საკითხს ნორმან ენჯელმა წიგნიც კი მიუძღვნა, სახელწოდებით „დიდი ილუზია“ [ენჯელი/Angell, 2007], ხოლო 1970-იანი წლებში კი ამ არგუმენტს საერთაშორისო ურთიერთობების სრულფასოვანი თეორიის სახე მისცეს რობერტ კიოჰენმა და ჯოზეფ ნაიმ [კიოჰენი/Keohane, 2000]. ეკონომიკური (კომპლექსური) ურთიერთდამოკიდებულების თეორიის ძირითადი არგუმენტი მდგომარეობს დაშვებაში, რომ რაც უფრო ინტენსიურია ეკონომიკური ინტერაქციები (ვაჭრობა, ინვესტიციები და ა.შ) ორ ქვეყანას შორის, მით უფრო დიდია პოლიტიკურ ურთიერთობებში სტაბილურობის შენარჩუნების ინტერესი.

ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობების ანალიზისას ამ არგუმენტის მომხრე ლიბერალები აქცენტირებენ ისეთ საკითხებზე, როგორცაა ამერიკასა და ჩინეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება ჩინეთში გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე ორიენტირებული ეკონომიკური რეფორმების გატარების შემდეგ. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის მომხრე ლიბერალები ამტკიცებენ, რომ აშშ-ს და ჩინეთს შორის ეკონომიკური ინტერაქციების ინტენსივობის ყოველწლიური ზრდა, პოზიტიურად აისახება ამ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში სტაბილურობის შენარჩუნების პერსპექტივებზე. კერძოდ, ეკონომიკური ინტერაქციების შემდეგი კონკრეტული მაჩვენებლების გამოყოფა ხდება აღნიშნული თეორიული არგუმენტის ემპირიული მხარდაჭერისთვის:

ყოველწლიურად იზრდება კაპიტალის მიმოქცევა აშშ-სა და ჩინეთს შორის არსებული ეკონომიკური ინტერაქციების ფარგლებში. უკვე 2004 წლისთვის სავაჭრო ურთიერთობებში კაპიტალის მიმოქცევამ 245 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ასევე, ყურადღების გამახვილება ხდება ამერიკული პირდაპირი ინვესტიციების ზრდის დინამიკაზე. კერძოდ, მაშინ როცა 1990 წელს ამერიკული ინვესტიციების მოცულობა მხოლოდ 254 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენდა, 2000 წელს ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა და 9,58 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა, ხოლო 2008 წლისთვის კი ინვესტიციებმა 92,4 მილიარდ დოლარს მიაღწია. ასევე, ლიბერალების მტკიცებით, 2001 წელს ჩინეთის გაწვევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ჩინეთს ამერიკის ეკონომიკური ინტერესებისთვის [ფრიდბერგი/Friedberg, 2005].

ოპტიმისტები მიიჩნევენ, რომ რაც უფრო მეტად განავითარებს ორივე სახელმწიფო ეკონომიკურ ურთიერთობებს, მით უფრო მეტად იქნება სწორედ ასეთი ტიპის ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის მომავალი კონფლიქტების თავიდან აცილების მნიშვნელოვანი გარანტია (რიჩარდსონი/Richardson, 1994/1995).

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ეს არგუმენტი საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერს, მისი კრიტიკა რამდენიმე მიმართულებით შეიძლება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტიკა თეორიის ემპირიულ ფაქტებთან შეპირისპირებაა. კერძოდ, ცნობილია, რომ XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები მაღალი ინტენსივობით გამოირჩეოდა და ევროპული ეკონომიკური სისტემა საკმაოდ ურთიერთდამოკიდებული იყო, თუმცა 1914 წელს ამ გარემოებამ კაცობრიობის ისტორიაში იმ პერიოდისთვის ყველაზე მასშტაბური ომის დაწყებას ხელი ვერ შეუშალა. ეს ფაქტი კი მიუთითებს, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში სისტემური მასშტაბის ომსა და მშვიდობას შორის მონაცვლეობას არა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი, არამედ სხვა ფაქტორები განაპირობებს. რაც შეეხება მტკიცებას, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ხელს უწყობს მშვიდობას, დასაშვებია, რომ კაუზალობა უფრო შებრუნებულად მუშაობს და სწორედ მშვიდობა არის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდის განმაპირობებელი გარემოება, ვიდრე პირიქით.

ამერიკის და ჩინეთის შემთხვევაში ეს არგუმენტი, გარდა ზემოაღნიშნული კრიტიკისა, სხვა მიმართულებითაც აწყდება სირთულეებს. კერძოდ,

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ამ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები ურთიერთმომგებიანია, არაა გამორიცხული, რომ მომავალში *შედარებითი მოგების (Relative Gains)* ფაქტორის გავლენის შედეგად ეს ურთიერთობები უფრო კონფლიქტის მიზეზი გახდეს, ვიდრე თანამშრომლობის. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ამ ურთიერთობებისგან ერთი რომელიმე აქტორი უფრო დიდ სარგებელს მიიღებს, ვიდრე მეორე და ეს განსხვავება შესაძლოა იმდენად მნიშვნელოვანი იყოს, რომ მან შეცვალოს საერთაშორისო სისტემაში ეკონომიკური ბალანსი მეორე აქტორის ხარჯზე და ამის შედეგად სამხედრო ძალთა ბალანსიც, მოსალოდნელია, რომ თანამშრომლობა ამ მიმართულებით ნაკლებად ინტენსიური გახდება და მთელ რიგ დამატებით უთანხმოებებს გამოიწვევს ორმხრივ ურთიერთობებში. მითუმეტეს, რომ უკვე დღეს გამოთქვამს ამერიკა უკმაყოფილებას იმ ფაქტით, რომ ჩინური იაფფასიანი პროდუქციის მასობრივი შემოდინება ამერიკულ ბაზარზე შიდა ეკონომიკურ პრობლემებს უქმნის ამერიკას, რაც უპირველესად ადგილობრივი ეკონომიკური აქტორების საქმიანობის გართულებას და უმუშევრობის დონის ზრდას განაპირობებს.

ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე. იმ შემთხვევაში თუ ჩინეთის წილი საერთაშორისო ეკონომიკაში გააგრძელებს ზრდას და გარკვეული პროგნოზებით გაუთანაბრდება ამერიკისას გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს გარემოება ამერიკას მისი უპირატესი პოზიციების დაცვის მიზნით უბიძგებს ჩინეთთან მიმართებაში ისეთი ტიპის ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისკენ, რომელიც მიმართული იქნება ამ ზრდის შეფერხებისკენ. რაც, ბუნებრივია, ჩინეთში ხელს შეუწყობს პერცეფციების გაღრმავებას, რომ ამერიკა მიზანმიმართულად აფერხებს მის ეკონომიკურად გავლენიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესს. ამგვარი პერცეფციების გაღრმავება კი (მითუმეტეს, რომ ამგვარი ხედვების არსებობის გამოცდილება ჩინეთს გააჩნია) უარყოფითად აისახება პოლიტიკურ ურთიერთობებზე და მნიშვნელოვნად გააუარესებს მათ.

შესაბამისად, ოპტიმისტი ლიბერალების არგუმენტი, დამაჯერებლობის მიუხედავად, რამდენიმე სირთულეს აწყდება. პირველი, თეორიულ დონეზე, ამ ეტაპისთვის არ არსებობს გამოკვეთილი კაუზალობის დამადასტურებელი ემპირიული კვლევები, რომელიც ურთიერთდამოკიდებულების და მშვიდობის ურთიერთმიმართების არგუმენტის სასარგებლოდ მუშაობს. და მეორე, როგორც ზემოაღნიშნულმა აჩვენა, იმ შემთხვევაში თუ ურთიერთდამოკიდებულება ჩინეთის ეკონომიკური გაძლიერების სასარგებლოდ

იმუშავებს, ეს გარემოება შესაძლოა უფრო კონფლიქტის წამახალისებელი გამოდგეს მომავალში, ვიდრე თანამშრომლობის.

**ოპტიმიზტაბის II არგუმენტი - საერთაშორისო ინსტიტუტები მნიშვნელოვანი მქანისი სისტემაში მშვიდობის და სტაბილურობის შესანარჩუნებლად**

დაშვება, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები მნიშვნელოვანი მქანისი საერთაშორისო ანარქიის პირობებში, ასევე ერთ-ერთი ცნობილი ლიბერალური არგუმენტია, რომლის თანახმად, საერთაშორისო ინსტიტუტები ხელს უწყობენ სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობას ინფორმაციის გაცემის, ინსტიტუციონალური მქანისების განვითარების და უნდობლობის ეფექტის შერბილების გზით. ამ არგუმენტის საერთაშორისო ურთიერთობების სრულფასოვან თეორიად ჩამოყალიბება XX საუკუნის 70-80-იან წლებში ხდება, ძირითადად ნეორეალისტური თეორიის ალტერნატიული (ან ნაწილობრივ ალტერნატიული) მიდგომის ფარგლებში, რომელიც ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმის სახელით არის ცნობილი.

საერთაშორისო ინსტიტუტების პაციფისტური ეფექტის მომხრე თეორეტიკოსები ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობების ანალიზისას განსაკუთრებით აქცენტირებენ ჩინეთის მხარდ მონაწილეობაზე, როგორც გლობალურ, ასევე რეგიონულ საერთაშორისო სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში. ინსტიტუციონალისტები კონკრეტულ მაჩვენებლებს გამოყოფენ მათი მოსაზრების მხარდასაჭერად. კერძოდ, 1977-2009 წლებში ჩინეთის მონაწილეობა საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციებში გასამმაგდა (21-69), ხოლო საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში თითქმის 15-ჯერ გაიზარდა (71-1163).

ამ არგუმენტის მომხრე თეორეტიკოსებისთვის საერთაშორისო ინსტიტუტებში მონაწილეობის სურვილი ზრდის ჩინეთის მხრიდან არსებული საერთაშორისო სტატუს-ქვოს შენარჩუნებისადმი მხარდაჭერას, რაც დადებითად აისახება აშშ-ს ინტერესებზეც, რომელიც, სწორედ, არსებული სტატუს-ქვოს შენარჩუნებაში მდგომარეობს.

ინსტიტუციონალისტური დაშვების ვალიდურობა კიდევ უფრო მეტ სკეპტიციზმს იწვევს, ვიდრე ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის არგუმენტი. დასაშვებია, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები ხელს უწყობენ თანამშრომლობას, თუმცა, ასევე დასაშვებია, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ინსტიტუტები მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ და

ამავდროულად მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ინსტიტუციონალური ქსელები არათანაბრად ღრმაა. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ აზიაში საერთაშორისო ინსტიტუტების რაოდენობა და მათში ჩინეთის მონაწილეობა ზრდის ტენდენციას ამჟღავნებს, ინსტიტუციონალური ურთიერთობების სიდრმისეულობა ძალიან შორს დგას იმ ინსტიტუციონალური რეალობისგან, რომელსაც დღეს ევროპაში აქვს ადგილი. ეს კი მიუთითებს, რომ ამ რეგიონის სახელმწიფოები არსებულ ინსტიტუტებს უფრო მათი ვიწრო ინტერესების რეალიზების მექანიზმებად განიხილავენ, ვიდრე ისეთ მოცემულობებად, რომელიც მათ ქმედებებს შეზღუდავს ინსტიტუციონალური ნორმების თუ მიღებული „თამაშის წესების“ საფუძველზე.

შესაბამისად, არგუმენტი, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები მნიშვნელოვანია თანამშრომლობისა და სტაბილურობისთვის უფრო მტკიცებად რჩება, ვიდრე ემპირიულ მოცემულობად. ის რაც ემპირიულ რეალობას უფრო მეტად შეესაბამება, არის დაშვება, რომ საერთაშორისო კონფლიქტების თუ მშვიდობის განმაპირობებელი გარემოება სისტემურ დონეზე ძალთა განაწილებაა, ხოლო თანამედროვე საერთაშორისო ინსტიტუტები, სწორედ რომ არსებული ძალთა განაწილების პროდუქტია და მის შესაძლო ცვლილებასთან ერთად, მოსალოდნელია მათი რაოდენობის თუ დანიშნულების ცვლილება.

### **ოპტიმიზტაბის III არგუმენტი – დემოკრატია ხელს უწყობს მშვიდობას**

ამ არგუმენტის ფილოსოფიური წინაპირობები ჯერ კიდევ კანტის „მარადიული მშვიდობის“ თეზისში იკვეთება. თუმცა, მისი სრულფასოვან საერთაშორისო თეორიად ჩამოყალიბება გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ხდება და ძირითადად მაიკლ დოილის და ბრუს რასეტის კვლევებს უკავშირდება [დოილი/Doyle, 1983, 1986]. აღნიშნულმა თეორეტიკოსებმა ძირითადად სტატისტიკური კორელაციის მეთოდის საფუძველზე დაადგინეს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებს ერთმანეთში ჯერ სამხედრო მოქმედებები არ გაუმართავთ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თეორიის ვალიდურობის დასადასტურებლად ძირითადად რაოდენობრივ კვლევებზე ხდება აქცენტირება და ნაკლებია კვლევები, რომელიც ამ არგუმენტის თვისებრივ დადასტურებას ახერხებს, ფაქტია, რომ ეს არგუმენტი ერთ-ერთ ყველაზე მყარ ემპირიულ საფუძველებზე დგას (საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი თეორია, იმ მცირე რაოდენობის თეორიებს შორის, რომელიც ასევე ჯერ არ ფალსიფიცირებულა და იმედს ვიტოვებ, რომ ეს ასეც იქნება მომავალშიც, ბირთვული შეკავების თეორიას). დემოკრატიული მშვიდობის თეორიის თანახმად „მომწიფებელი“ დემოკრატიის მქონე სახელმწიფოები ე.წ. „მშვიდობის ზონას“ ქმნიან და მათ შორის ომების შესაძლებლობა მინიმუმამდე დადის.

ამ არგუმენტის მომხრე ოპტიმისტები ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობების ანალიზისას, ამტკიცებენ, რომ დემოკრატიზაციის ტენდენციები ჩინეთში უკვე გამოკვეთილია და ჩინეთის ეკონომიკური ლიბერალიზაციის პროცესი გრძელვადიან პესპექტივაში ქვეყანაში პოლიტიკური ლიბერალიზაციის მოთხოვნებსაც გააჩენს (პეი/Pei, 1995). ამავდროულად ხშირად ხდება აქცენტირება იმ გარემოებაზე, რომ ეკონომიკური ზრდა ხელს შეუწყობს ჩინეთში საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიზაციის და პოლიტიკური ლიბერალიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა გახდება. საშუალო ფენის ჩამოყალიბების ძირითად ინდიკატორად კი ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელი გამოიყენება, რომელიც ლიბერალთა მტკიცებით, თანაბრად ზრდის ტენდენციას ამჟღავნებს.

ერთი სიტყვით, დემოკრატიული პაციფიზმის იდეის მომხრე ავტორები ამტკიცებენ, რომ დემოკრატიული და ეკონომიკურად ძლიერი, ან ეკონომიკურად „მაყოფილი“ ჩინეთი გახდება ე.წ. „მშვიდობის ზონის“ ნაწილი და შესაბამისად, კონფლიქტი, მითუმეტეს სამხედრო კონფლიქტი აშშ-სა და ჩინეთს შორის ისეთივე წარმოუდგენელი გახდება, როგორც დღეს ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის.

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ თეორია მყარ ემპირიულ საფუძვლებზე დგას, ჩინეთთან მიმართებაში ამ თეორიის არგუმენტების გამოყენება მაინც პრობლემატურია ორი ძირითადი მიზეზის გამო. პირველი, როგორც ფარიდ ზაქარია ამბობს, ეს თეორია სინამდვილეში დემოკრატიის ძალიან სპეციფიკურ გაგებას ეფუძნება და უშვებს, რომ თეორია მუშაობს მხოლოდ ლიბერალურ დემოკრატიებს შორის ურთიერთობებში. რიჩარდ ბეტსის და თომას კრისტენსენის მოსაზრებით კი დემოკრატიზაციის პროცესი ჩინეთში შესაძლოა, სწორედ რომ არალიბერალური დემოკრატიის მიმართულებით განვითარდეს [ბეთსი/Betts, 2005]

და მეორე, ამ არგუმენტის მომხრე ლიბერალები ასევე ვერ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ ჩინეთში დემოკრატიზაციის პროცესი საკმაოდ წინააღმდეგობრივი და რთული შეიძლება გამოდგეს და სწორედ დემოკრატიზაცია გახდეს არათუ სტაბილურობის, არამედ დესტაბილიზაციის და კონფლიქტის მთავარი წყარო. ამ ეტაპისთვის, ის რაც უდავოა, ის გარემოებაა, რომ ჩინეთი დღეს არც ტოტალიტარული და არც დემოკრატიული, არამედ ავტორიტარული სახელმწიფოა. ჯეკ სნაიდერის და ედვარდ

მანსფილდის მოსაზრებით კი ავტორიტარული პოლიტიკური სისტემიდან დემოკრატიული სისტემის მიმართულებით ტრანზიციის პროცესი ზრდის ალბათობას, რომ არსებული პოლიტიკური რეჟიმი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ისპეკულირებს ნაციონალისტური თემატიკით და საგარეო ავანტიურებით შეეცდება არსებული სტატუს-ქვოს შენარჩუნებას [მანსფილდი/Mansfield, 1995]. ამ თეორიის თანახმად, (რეალურად სწორედ ეს თეორია უფრო შეესაბამება თანამედროვე ჩინეთს, სადაც ლიბერალური პოლიტიკური და სამოქალაქო ღირებულებების პრაქტიკა ამ ეტაპზე თითქმის არ არსებობს) დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში მყოფი ჩინეთი შესაძლოა სწორედ, რომ კონფლიქტის მთავარი წყარო გახდეს. ნაციონალისტური განწყობების გააქტიურების ფონზე, ასევე ყურადღების გადატანის მიზნით კი, ტაივანის საკითხი ყველაზე მიმზიდველ თემად შეიძლება იქცეს რეჟიმისთვის. ტაივანის გარშემო ურთიერთობების დაძაბვა კი უდავოდ ნეგატიურად აისახება ამერიკასთან ურთიერთობებზეც, ამერიკასა და ტაივანს შორის არსებული ურთიერთობების გათვალისწინებით.

როგორც ჩანს, დემოკრატიული მშვიდობის თეორიის არგუმენტი საკმაოდ წინააღმდეგობრივია ჩინეთის შემთხვევაში. გარდა იმ გარემოებისა, რომ თეორიის მყარი ემპირიული საფუძვლები არ გულისხმობს აპრიორი რომ თეორია სწორია, მოკლევადიან პერსპექტივაში შესაძლოა სწორედ დემოკრატიზაცია გახდეს ლიბერალურ-დემოკრატიულ ამერიკასა და ავტორიტარულ, თუნდაც ტრანზიციის პროცესში მყოფ ჩინეთს შორის სწორედ რომ კონფლიქტის მთავარი წყარო.

#### **ძალთა განაწილების ცვლილების თეორია (POWER TRANSITION THEORY)**

ძალთა განაწილების ცვლილების არგუმენტის სრულფასოვან თეორიად ჩამოყალიბება ძირითადად ორგანსკის და კუგლერის სახელებს უკავშირდება (ორგანსკი/Organski, 1981). თეორიის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაში ასევე დიდი როლი ითამაშა ცნობილმა რეალისტმა, რობერტ გილპინმა (გილპინი/Gilpin, 1981). აღნიშნული თეორიის ძირითადი არგუმენტი ორი მიმართულებით არის საინტერესო. პირველი, თეორია ამტკიცებს, რომ საერთაშორისო სისტემაში ყოველთვის არიან სტატუს-ქვო და რევიზიონისტი სახელმწიფოები. მეორე, საერთაშორისო სისტემა ყველაზე უფრო სტაბილურია, როდესაც ჰეგემონისა და პოტენციური კონკურენტის შესაძლებლობებს შორის არსებული ზღვარი საგრძნობლად დიდია.



ჩინეთის და ამერიკის ურთიერთობების შემთხვევაში, თეორიის თანახმად ამ ურთიერთობების მომავალი მიმართულების განმსაზღვრელი იქნება საერთაშორისო სისტემაში ძალთა განაწილება და ის გარემოება, თუ როგორ იქნება ეს ძალთა განაწილება აღქმული ჩინეთის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, ეს თეორია რეალიზმის სტრუქტურულ თავისებურებებს არღვევს, უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი დამოუკიდებელი ცვლადის ფუნქციას თეორიისთვის მაინც სისტემაში ძალთა განაწილება ასრულებს. რაც შეეხება აქტორთა პერცეფციებს, ამ შემთხვევაში ეს მხოლოდ შუალედური ცვლადია. ანუ არგუმენტის თანახმად, ძალთა განაწილების შესაძლო ცვლილება იქნება პერცეფციების და პერცეფციების საფუძველზე კონკრეტული სტრატეგიების შერჩევის განმაპირობებელი გარემოება.

აღნიშნული თეორიის მომხრე რეალისტები ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობების მომავალთან დაკავშირებით ორ ძირითად დაშვებას აკეთებენ. პირველი, ჩინეთი სტაბილურად მზარდი სახელმწიფოა და საერთაშორისო ძალთა განაწილებაში ამერიკის პოტენციური კონკურენტია. მეორე, სახელმწიფოთა მიზნები და ინტერესები ექსპანსირდება მათი შესაძლებლობების ზრდის შესაბამისად. ეს არგუმენტი კი თავისმხრივ მიუთითებს, რომ ძლიერების ზრდის პარალელურად ჩინეთი შეეცდება შეცვალოს არსებული საერთაშორისო სტატუს-ქვო, რომელიც სწორედ იმ დროს ჩამოყალიბდა, როდესაც სისტემაში მას სუსტის პოზიცია ეკავა.

თუ შევაჯამებთ ამ თეორიის ძირითად არგუმენტებს შეგვიძლია დავუშვათ, რომ ჩინეთსა და ამერიკას შორის კონფლიქტის თუ თანამშრომლობის განმაპირობებელი გარემოება იქნება საერთაშორისო სისტემაში ძალთა განაწილება. იმ შემთხვევაში თუ ჩინეთი გააგრძელებს ეკონომიკური და სამხედრო გაძლიერების პროცესს და მიუახლოვდება სისტემაში ძალის დამატებით პოლუსად ჩამოყალიბების ზღვარს, ეს გარემოება გაზრდის არსებულ ძალის პოლუსთან კონფლიქტის (მათ შორის სამხედრო დაპირისპირების) ალბათობას. შესაბამისად, ამავე ლოგიკით, ამ ურთიერთობებში სტაბილურობის (სტაბილურობაში ვგულისხმობ სისტემური მნიშვნელობის რყევების არარსებობას და არა მცირე დიპლომატიურ უთანხმოებებს, რასაც დღესაც აქვს ადგილი) შენარჩუნების ერთ-ერთი ძირითადი გარანტია იქნება არსებული ძალთა განაწილების შენარჩუნება. ანუ ამ დაშვებით, ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობების სტაბილურობის გასაღები ჩინეთის სისუსტეა ამერიკასთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ თეორია შესაძლოა საკმაოდ კარგად პროგნოზირებდეს ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების განვითარების დინამიკას გრძელვადიან პერსპექტივაში, ის ვერ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში გლობალურ დონეზე ძალთა თანაფარდობის მიღწევის გარეშე შეიძლება ჩინეთმა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნას ამერიკას, ძირითადად იმ რეგიონში, რომელსაც ჩინეთი საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევს.

ამ არგუმენტის თანახმად, რომელიც შესაძლოა ძალთა განაწილების ცვლილების თეორიის ერთგვარ კრიტიკადაც იქნას განხილული, ჩინეთი საერთაშორისო სისტემაში ამერიკის საპირწონე ძალად ჩამოყალიბების გარეშეც კი შეიძლება მნიშვნელოვან გამოწვევად იქცეს ამერიკის ინტერესებისთვის (საგულისხმოა, რომ ეს თეორია მუშაობს არა მხოლოდ ჩინეთის შემთხვევაში, არამედ, საკმაოდ კარგად ერგება სხვა დიდი სახელმწიფოების, მაგალითად რუსეთის ფედერაციის ქმედებებს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პოზიცია საერთაშორისო ძალთა განაწილებაში არ შეცვლილა, რუსეთი მაინც დიად დაუპირისპირდა ამერიკის ინტერესებს, როდესაც ამერიკის მოკავშირე ქვეყნის საქართველოს ოკუპაცია მოახდინა. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, რუსეთი რევიზიონისტი სახელმწიფოა, მიუხედავად იმისა რომ მისი პოზიცია საერთაშორისო ძალთა განაწილებაში არათუ გაძლიერდა, არამედ საშუალო ან გრძელვადიან პერსპექტივაში (15-20 წელიწადი) ყველა ინდიკატორი მიუთითებს, რომ რუსეთის ფედერაციის შესაძლებლობები გლობალურ ძალთა განაწილებაში სულ უფრო და უფრო კლების ტენდენციას ამჟღავნებს).

ძალთა განაწილების ცვლილების თეორიის ზემოაღნიშნული კრიტიკა მიუთითებს, რომ ამერიკასა და ჩინეთს შორის კონფლიქტის შესაძლებლობა საერთაშორისო სისტემაში ძალთა განაწილების მკვეთრად ცვლილების გარეშეც არსებობს. ბუნებრივია, ამ თეორიული არგუმენტის შემოთავაზების შემდეგ მნიშვნელოვან კითხვად რჩება თუ როგორ შეიძლება ეს მოხდეს. სტატიის მომდევნო ნაწილი სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას დაეთმობა.

## **ჩინეთი და რეგიონული დაბალანსება**

დღეს საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევა ანომალია, რომელსაც სისტემური ძალთა წონასწორობის თეორია აწყდება ცივი ომის დასრულების შემდეგ. კერძოდ, მთავარი კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემას ცდილობს სამეცნიერო

საზოგადოება შემდგენაირად გამოიყურება: მაშინ როდესაც თანამედროვე საერთაშორისო სისტემა უპრეცედენტოა მასში ძალის კონცენტრაციის მხრივ, რატომ არ ხდება სხვა სახელმწიფოების მიერ აღნიშნული ძალის პოლუსის დაბალანსება გლობალურ დონეზე (აქ საუბარია დაახლოებით ისეთ დაბალანსებაზე, როგორსაც ადგილი ქონდა, მაგალითად, ნაპოლეონის საფრანგეთის ან ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ, ან თუნდაც ცივი ომის დროს)?

სტატიის ფორმატი არ იძლევა საშუალებას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული სხვადასხვა თეორიული არგუმენტების ანალიზი მოვახდინოთ. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით ორ ძირითად თეორიულ დაშვებას გავაკეთებ. პირველი მდგომარეობს დაშვებაში, რომ დაბალანსების შესაძლებლობა ორ დონეზე, გლობალურ და რეგიონულ დონეებზე, უნდა განვიხილოთ. და მეორე დაშვება: მაშინ როცა სისტემური ძალთა წონასწორობის თეორია ამტკიცებს, რომ სისტემაში ძალის დიდი რაოდენობით კონცენტრაცია განაპირობებს დაბალანსების მექანიზმის ამუშავებას, მე მივიჩნევ, რომ სწორედ ძალის დიდი რაოდენობით კონცენტრაცია არის თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში გლობალური დაბალანსების არათუ განმაპირობებელი, არამედ ხელის შემშლელი გარემოება.

ზემოაღნიშნული თეორიული დაშვებების საფუძველზე შეგვიძლია ორ კითხვას გავცეთ პასუხი. პირველი, რატომ არ ხდება გლობალურად ამერიკის დაბალანსება? და მეორე, რა არის ის ძირითადი სტრატეგია, რასაც სხვა დიდი სახელმწიფოები, მათ შორის, ბუნებრივია, ჩინეთიც, მიმართავენ უნიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში?

პასუხი კითხვაზე თუ რატომ არ ხდება ამერიკის გლობალურ დონეზე დაბალანსება ზევით გაკეთებული დაშვების თანახმად, საკმაოდ მარტივია: იმდენად რამდენადაც ამერიკის წილი გლობალურ ძალთა განაწილებაში საგრძნობლად აჭარბებს ყველა სხვა დიდი სახელმწიფოს შესაძლებლობებს, ვერცერთი სხვა სახელმწიფო ამ ეტაპზე ვერ შეძლებს ამერიკის წინააღმდეგ გლობალური დაბალანსების სტრატეგიის გააქტიურებას და საერთაშორისო სისტემაში ძალთა თანაფარდობის მიღწევის უზრუნველყოფას (ამ შემთხვევაში ძირითადად შიდა დაბალანსებაზეა საუბარი, რადგან სწორედ, შიდა დაბალანსებაა უფრო სანდო სტრატეგია ანარქიულ საერთაშორისო გარემოში).

რაც შეეხება კითხვას, თუ რა სტრატეგიას მიმართავს ამ ვითარებაში ჩინეთი, ამ კითხვაზე პასუხი შემდეგია: ჩინეთი მიმართავს ამერიკის დაბალანსების სტრატეგიას, თუმცა ამას აკეთებს არა გლობალურად, არამედ რეგიონულ დონეზე. იმის გათვალისწინებით, რომ გლობალურად ამერიკის დაბალანსება ჩინეთისთვის ამ ეტაპზე არარეალისტური სტრატეგიაა, ჩინეთი ცდილობს ამერიკის დაბალანსებას სწორედ იმ რეგიონში, სადაც მას ამის გაკეთების რესურსი აქვს (ეს არგუმენტი თანაბრად მუშაობს სხვა დიდი სახელმწიფოების შემთხვევაშიც. დაახლოებით იგივეს ცდილობენ დღეს რუსეთი და ირანიც, თუმცა ბევრად უფრო აგრესიულად, ვიდრე ჩინეთი).

ზემოაღნიშნული თეორიული დაშვებების შემდეგ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იმ შემთხვევაში თუ ჩინეთი გააგრძელებს რეგიონული დაბალანსების სტრატეგიას, გრძელვადიან პერსპექტივაში ძალთა განაწილების ორ დონიან რეალობას მივიღებთ: გლობალურად საერთაშორისო სისტემა იქნება კვლავ უნიპოლარული, თუმცა რეგიონულ დონეზე ბიპოლარული.

ბუნებრივია, შემოთავაზებული თეორიის დეტალების სრულყოფილი ანალიზი და მისი ემპირიული გადამოწმება მნიშვნელოვანია თეორიის ვალიდურობის დასადგენად. თუმცა, აღნიშნული მიზანი წინამდებარე სტატიის დანიშნულებას სცდება და უფრო სხვა დამოუკიდებელი კვლევების საგანია. შესაბამისად, ამ ეტაპზე მხოლოდ თეორიული დაშვებების გაკეთებით შემოვიფარგლები.

## **დასკვნა**

წინამდებარე სტატიის მთავარი მიზანი იყო იმის განსაზღვრა, თუ რა მიმართულებით განვითარდება მომავალში ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობები. აღნიშნული მიზნით სტატიაში შემოთავაზებული იყო ორი თეორიული სკოლის არგუმენტები და პროგნოზები.

ლიბერალური თეორიის არგუმენტების შინაარსობრივი ანალიზის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ყველა ის ფაქტორი, რომელსაც ოპტიმისტები თანამშრომლობის ხელშემწყობ მქანაზმებად განიხილავენ, შესაძლოა, რომ სწორედ კონფლიქტის წამახალისებელი გარემოებები აღმოჩნდეს.

ასევე, რეალისტური არგუმენტის განხილვისას გამოიკვეთა, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში გლობალურ დონეზე ძალთა განაწილების ცვლილების გარეშეც კი მოსალოდნელია რეგიონულ დონეზე ძალთა ბალანსის

ცვლილებამ ხელი შეუწყოს ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობების გაუარესებას.

საკვანძო თეორიული დაშვება, რომელიც სტატიაში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. რეგიონულ დონეზე ძალთა განაწილების ცვლილების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ჩინეთი შეეცდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში ამერიკის გავლენის შეზღუდვას. ამ მიზნის მისაღწევად კი ჩინეთი მთავარ სტრატეგიად ამერიკის დაბალანსების სტრატეგიას გამოიყენებს, რომელიც ორიენტირებული იქნება რეგიონში არსებული სამხედრო ძალთა ბალანსის მის სასარგებლოდ შეცვლაზე (ამ არგუმენტის ვალიდურობას ზრდის ის გარემოება, რომ ჩინეთისთვის, გეოგრაფიული სიახლოვის გამო, რეგიონში ძალის პროექცია ბევრად უფრო მარტივი იქნება, ვიდრე ამერიკისთვის)

ბუნებრივია, ეს არგუმენტი არ გულისხმობს, რომ ამერიკის და ჩინეთის მომავალი ურთიერთობების ძირითადი შედეგი მათ შორის სამხედრო კონფრონტაცია იქნება (ბოლოსდაბოლოს, ცივი ომის პერიოდში ამერიკას და საბჭოთა კავშირს, დაძაბული ურთიერთობების მიუხედავად, ერთმანეთში არ უომიათ), თუმცა არც ამ დაშვების გამორიცხვა იქნებოდა გამართლებული.

## ბიბლიოგრაფია

1. Norman Angell, *The Great Illusion* (Cosimo Classics, 2007)
2. Robert. O Keohane, Joseph S. Nye, *Power and Interdependence* (Longman 3<sup>rd</sup> Edition 2000)
3. Richard K. Betts, Thomas. J Christensen, *China: Getting the Questions Right* (The National Interest, Winter 2000/2001)
4. Aaron L. Friedberg, *The Future of U.S.-China Relations: Is Conflict Inevitable?* (International Security, Vol. 30, No. 2 (Fall 2005)
5. Doyle, Michael. 1983a. *Kant, Liberal Legacies, and Foreign Affairs: Part I* (Philosophy and Public Affairs 12, 3 (June)

6. Doyle, Michael. 1983b. Kant, Liberal Legacies, and Foreign Affairs: Part II. (Philosophy and Public Affairs 12, 4 (October))
7. Doyle, Michael. 1986. Liberalism and World Politics (American Political Science Review 80: 4 December)
8. James L. Richardson, Asia-Pacific: The Case for Geopolitical Optimism (National Interest, No. 38 Winter 1994/95)
9. Minxin Pei, Creeping Democratization in China (Journal of Democracy, Vol. 6, No. 4, October 1995)
10. Edward D. Mansfield, Jack L. Snyder, Democratization and the Danger of War (International Security, Summer 1995)
11. A.F.K Organski, Jacek Kugler, The War Ledger (University of Chicago Press, 1981)
12. Robert Gilpin, War and Change in International Politics (New York: Cambridge University Press, 1981)